N690 2015 წლის 3 აპრილი ქ.თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 მარტის №605 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 მარტის №605 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარი, მათ შორის:

ა) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამშენებლო, სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების, შესაბამისი აღჭურვისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასაფინანსებლად - 23 561 000 (ოცდასამი მილიონ ხუთას სამოცდაერთი ათასი) ლარი;

ბ) „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ოლიმპიური ფესტივალის გახსნა-დახურვის ოფიციალური ცერემონიალის ნაწილობრივი, ფესტივალის საორგანიზაციო ადმინისტრაციული ხარჯების, ფესტივალის პოპულარიზაცია/რეკლამირების, ჩამოსული სპორტსმენებისა და დელეგატების ტრანსპორტირების, განთავსების, კვების, სამედიცინო და სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებისათვის - 6 439 000 (ექვსი მილიონ ოთხას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**